საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 840/ი

17 09 2019 წ.

ქ. თბილისი

„პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის 2019 წლის 15 აგვისტოს №1047897 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) მე-8 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავება/გადამუშავება ხორციელდება ცენტრის ფარგლებში ან/და ცენტრის კოორდინაციით გარე ინიციატორის მიერ, პროფესიული კვალიფიკაციების ექსპერტისა და სფეროს წარმომადგენლის/წარმომადგენელთა ჩართულობით.“.

002709

ა.ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი:

"1[1]. ცენტრის ფარგლებში ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავებაში/გადამუშავებაში ჩართული პროფესიული კვალიფიკაციების ექსპერტი არის ცენტრის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შერჩეული და სერტიფიცირებული პირი. გარე ინიციატორი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს პროფესიული კვალიფიკაციების ექსპერტად მომუშავე და პასუხისმგებელი პირი.".

ა.გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სფეროს წარმომადგენელი უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) შესამუშავებელი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილება;

ბ) შესამუშავებელი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შესაბამის სფეროს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამუშაო გამოცდილება;

გ) შესამუშავებელი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შესაბამის სფეროში მწვრთნელის არაფორმალურ გარემოში სწავლების ან გადამზადების სამუშაო გამოცდილება;

დ) წარმოადგენს შესამუშავებელი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შესაბამის სფეროში არსებულ პროფესიულ ასოციაციას ან/და სახელმწიფო დაწესებულებას.".

ბ) მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ცენტრი სახელმძღვანელოდ იყენებს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „პროფესიული დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესით" გათვალისწინებულ პირობებს და შესაბამისი პრინციპების გათვალისწინებით აყალიბებს ამ მუხლით გათვალისწინებული მემორანდუმის ფარგლებში შესაბამის პირობებს.".

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ბაღიშვილი

შემსრულებელი:

იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტი

თარიღი: /16.09.19/---------- /დალი გურასპაშვილი/

შეთანხმებულია:

იურიდიული სამსახურის უფროსი

თარიღი: /16.09.19/---------- /ქეთევან კობახიძე/

კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსი

თარიღი: /16.09.19/---------- /ნინო ბერელიძე/

დირექტორის მოადგილე

თარიღი: /16.09.19/---------- /თამარ მახარაშვილი/

ხელმოწერის თარიღი: /17.09.19/